ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3615834

ნომერი: AR1543467

თარიღი : 02.10.2017

გაცემის თარიღი : 18.10.2017

გაცნობის თარიღი : 18.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის V მ/რ-ის ჩრდილოეთით / ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობი , V მ/რ -ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კოღუა პ/ნ 39001000367
- ვაჟა ფშაველა მე-2 კვარტალი მე- ბინა 67 მე19 კორპუსი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 2 ოქტომბრის AR1543467 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2015 წლის 28 მაისის №1888947 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

ვინაიდან წარმოდგენილი და სამსახურის ხელთ არსებული დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება არსებული სკვერი, რომლის კეთილმოწყობის ვალდებულებაც დაფიქსირებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, ხოლო გამიჯნვის შედეგად სკვერი ისევ საპროექტო ტერიტორიაზე ხვდება. შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია თქვენს მიერ მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.